

“ჯიპიაი ჰოლდინგის” ტრანსფორმაციის სტრატეგია: *წინ, ახალი რეალობისკენ!*

- მართვის ახალი ეკოსისტემა - ადამიანების განვითარებაზე და მომსახურების გაუმჯობესებაზე ორიენტირებული
- დისტანციური და ოფისში მუშაობის ჰიბრიდული მოდელი
- სწრაფი ზრდის დინამიკა: მუდმივ განვითარებაზე ფოკუსირება

თბილისი, საქართველო, 6 ივლისი, 2020 წ.: “ჯიპიაი ჰოლდინგი” ბაზარზე განვითარების ახალ სტრატეგიას აანონსებს, რაც საქართველოში და მსოფლიოში მიმდინარე ტენდენციებს ეხმიანება და გრძელ ვადაში კომპანიის სწრაფ ზრდას უზრუნველყოფს. ტრანსფორმაციის პროცესი უკვე დაწყებულია. კომპანია მართვისა და მუშაობის სტილს სრულად შეცვლის და ბაზარზე ოპერირების ახალ სტანდარტებს დაამკვიდრებს.

სტრატეგიული ცვლილებების ხედვა მოიცავს საოპერაციო და მომსახურების სისტემების კომპლექსურ გარდაქმნას, მენეჯმენტში ახალი მიდგომების დამკვიდრებას, ე.წ. ჰიბრიდულ მოდელზე გადასვლის კვალდაკვალ. ჰიბრიდული მოდელი გულისხმობს დისტანციურად და ოფისში გატარებული საათების კომბინაციას თანამშრომლებისთვის მეტი ავტონომიისა და მოქნილობის მისანიჭებლად.

პაატა ლომაძე, “ჯიპიაი ჰოლდინგის” გენერალური დირექტორი: “განვითარება და პროგრესი, ყოველთვის იყო და არის ჩვენი კომპანიის მამოძრავებელი ძალა, პანდემიამ კი დგვანახა, რომ ცვლილებებისთვის სრულყოფილად ვართ მზად. ჩვენ უკვე გრავიული ხანია, ვგეგმავდით ჩვენს მიერ განვითარებული ტექნოლოგიური სისტემების გამოყენებას იმისთვის, რომ უფრო მოქნილი და ეფექტური საქმიანობის მოდელი შეგვექმნა და გასული რამდენიმე თვის გამოცდილება ერთგვარი კატალიზატორი აღმოჩნდა, რომ ცვლილებები უფრო სწრაფად და თამამად დავნერგოთ. გვინდა, გამოვიყენოთ ის დადებითი გამოცდილება, რაც მივიღეთ და გავითვალისწინოთ გამოწვევები, რომელიც, ცხადია, ახლავს თან მსგავს მასშტაბურ ტრანსფორმაციას. მთავარი მიზანი არის, ახალ ეტაპზე გადავიყვანოთ ჩვენი კომპანიის განვითარება და უფრო სტაბილური, თანამედროვე და სწრაფ ზრდაზე ორიენტირებული სისტემები შევქმნათ, სადაც ამოსავალი წერტილი იქნება ჩვენი თანამშრომლების კეთილდღეობა და განვითარება და მომხმარებლებისთვის გაუმჯობესებული სერვისის მიწოდება. თამამი გადაწყვეტილებაა, თუმცა ჩვენ არასდროს გვივლია გატკეპნილი გზით და ჩვენ მიერ დანერგილი ინიციატივები სადაზღვევო ბაზრის განვითარების საწინდარიც არაერთხელ გამხდარა და ახლაც, დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენს

გუნდთან ერთად, მყარ საფუძველს შექმნით გრძელვადიანი სტაბილური ზრდისთვის.“

კომპანიაში აცხადებენ, რომ ცვლილებები ჯიპიას სწრაფ ზრდას და განვითარებას შეუწყობს ხელს. თანამშრომლებს კი საშუალებას მისცემს თავისუფალი და მოქნილი გრაფიკით იმუშაონ მათთვის სასურველი ნებისმიერი ადგილიდან. ტრანსფორმაციის პროცესში კომპანია გეგმავს კიდევ უფრო გააძლიეროს და დახვეწოს ციფრული არხები და საკომუნიკაციო სისტემები, როგორც კომპანიის შიგნით, ასევე გარეთ.

ნინო ხაჭაპურიძე, “ჯიპიაი ჰოლდინგის” ადამიანური რესურსის მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი: “ უკვე სამი თვეა, ჩვენი ყველა თანამშრომელი სახლიდან შეუფერხებლად მუშაობს. ჯიპიამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა რომ მძლავრი ინტელექტუალური და ტექნიკური რესურსი აქვს. გვიხარია, რომ ეს არ იქნება დროებითი მოვლენა და ახალ რეალობაში ჩვენს თანამშრომლებს ექნებათ შესაძლებლობა იმუშაონ ნებისმიერი ადგილიდან. ეს მიდგომა დაგვეხმარება სწრაფად გავიზარდოთ და სამომავლოდ გუნდის ახალი წევრები საქართველოს ნებისმიერი კუთხიდან ავარჩიოთ. უკვე აქტიურად ვმუშაობთ მართვის ისეთ მოდელზე, სადაც თანამშრომელს მეტი თავისუფლება აქვს, სადაც ის მოქნილია სამუშაო დროის განაწილებაში და სრულად შედეგზეა ორიენტირებული, მენეჯმენტი კი მთელს ძალისხმევას და რესურსს თანამშრომლების განვითარებას და მართვის სისტემების დახვეწას უთმობს.“

კომპანიის გარდაქმნის გადაწყვეტილება ჯიპიას მენეჯმენტმა პანდემიის დროს მიღებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით მიიღო. საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებიდან დღემდე, კომპანიის 750 თანამშრომელი სახლიდან მუშაობს. გამართული ციფრული პლატფორმების საშუალებით კი კომპანიამ 300 000-ზე მეტი ოპერაცია დისტანციურად განახორციელა. კომპანიაში აცხადებენ, რომ დეკემბრიდან ჯიპიას ყველა თანამშრომელი ახალ რეალობაში, ბევრად უფრო თანამედროვე, ძლიერ და სტაბილურ კომპანიაში იმუშავებს.